საქმე №2/7081-26

12263505636397
www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით
სარეზოლუციო ნაწილი

04 ნოემბერი, 2026 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - დალი აბჟანდაძე
სხდომის მდივანი - ელენე ჩიჩოელი

განმცხადებელი - ნატო ჯავახიშვილი

მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი - თარხუჯი ჯავახიშვილი

მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ადვოკატი - მაია დადვანი

დაინტერესებული პირი - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
დაინტერესებული პირის წარმომადგენელი - ლუკა ჩადუნელი

განმცხადებლის მოთხოვნა - მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, მხარდამჭერად დანიშვნა

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 49-ე, 55-ე, 208-ე, 243-244-ე; 247-248, 257-ე, 363[21], 364-ე; 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნატო ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017010840) განცხადება დაკმაყოფილდეს;

1.1 ცნობილ იქნას თარხუჯი ჯავახიშვილი (პ.ნ. 01017009638) მხარდაჭერის მიმღებად შემდეგ სფეროებში:

• ნებისმიერი სახელმწიფო სოციალური გასაცემლის (პენსიის სოციალური დახმარების, მათ შორის საანაბრე-სადეპოზიტო ანგარიშზე დაგროვებული თანხის და სხვა) დანიშვნის, აღდგენის/მიღების/გაწყვეტის, საბანკო პლასტიკური ბარათის/პინ კოდის დამზადების/მიღების/მინიჭების, ,,სმს'' შეტყობინების ჩართვა/გამორთვის სფეროში, ამავე მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოსთან და საბანკო დაწესებულებებთან, მათ შორის

სს „ლიბერთი ბანკთან“ ურთიერთობის სფეროში;

- სამედიცინო დაწესებულებებში და აფთიაქებში (მათ შორის სპეციალიზირებულ სააფთიაქო დაწესებულებებში) წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში, მათ შორის რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების შეძენა/მიღების სფეროში;

- მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე (მათ შორის სტაციონარში მკურნალობა) თანხმობის გამოხატვის სფეროში;

- მკურნალობა/რეაბილიტაციის მიზნით, სახელმწიფო და სხვა სახის პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კერძო დაწესებულებებთან ურთიერთობისას, წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში;

- სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობისა და დახმარების მიღების მიზნით (მათ შორის - შინმოვლის სერვისი, პირადი ასისტენტის მომსახურება, საკურორტო ვაუჩერი, ფულადი დახმარება და სხვ.) შესაბამის სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო დაწესებულებებთან, მათ შორის არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სფეროში;

- თარხუჯი ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017009638) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: თბილისი, პეტრე მელიქიშვილის გამზირი N43, ს.კ. N01.15.03.014.005.01.501) მართვის სფეროში, კერძოდ, კომუნალური გადასახადების გადახდის მიზნით, GWP - ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან, თელმიკოსთან, თბილისი ენერჯისთან, თბილსერვის ჯგუფთან, მაგთისთან, სსიპ სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და სხვა შესაბამის დაწესებულებებთან ურთიერთობისას წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში;

- თარხუჯი ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017009638) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: თბილისი, პეტრე მელიქიშვილის გამზირი N43, ს.კ. N01.15.03.014.005.01.501) მესამე პირებზე გაქირავების სფეროში წარმომადგენლობის განხორციელება. ამავე მიზნით, ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისას/განახლებისას/ცვლილებების შეტანისას/შეწყვეტისას/ხელმოწერისას წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში, ასევე მესამე პირებთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან (მათ შორის ტერიტორიულ ორგანოებთან), „იუსტიციის სახლთან“, ნოტარიუსთან და სხვა შესაბამის დაწესებულებებთან ურთიერთობისას წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში; თარხუჯი ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017009638) ინტერესებისა და საჭიროებების

უზრუნველყოფის მიზნით, გაქირავების შედეგად მიღებული თანხის სრულად განკარგვის სფეროში წარმომადგენლობის განხორციელება;

- პირადობის მოწმობის აღების/შეცვლის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და იუსტიციის სახლთან ურთიერთობისას, წარმომადგენლობის განხორციელების სფეროში.

2. ნატო ჯავახიშვილი (პ.ნ. 01017010840) დაინიშნოს ოჯახის წევრის - თარხუჯი ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017009638) მხარდამჭერად ზემოაღნიშნულ სფეროებში. მხარდამჭერს მიენიჭოს უფლებამოსილება მხარდაჭერა განახორციელოს, თარხუჯი ჯავახიშვილის (პ.ნ. 01017009638) სახელით, მისი ინტერესების შესაბამისად.

3. მხარდაჭერის ვადა (მისი გადასინჯვის პერიოდულობა) განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

4. გაუქმდეს სამოქალაქო საქმეზე №2/1048-25, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, თარხუჯი ჯავახიშვილის მიმართ დაწესებული დროებითი მხარდაჭერის ღონისძიებები;

5. მხარდამჭერი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

6. მხარდამჭერი ვალდებულია სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუწესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს.

7. თუ მხარდაჭერის მიმღებს სურს, მხარდამჭერი თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლდეს, იგი შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).

8. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდამჭერებს თავიანთი

მოვალეობების შესრულებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მხარდაჭერის მიმღებებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

9. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია შეამოწმოს მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა გეგმური შემოწმებით, რომელიც ტარდება თავისი ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებით და ფაქტობრივი ზედამხედველობით, ან 6 თვეში ერთხელ.

10. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, მას შემდეგ რაც მხარდამჭერი მიაწვდის სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ინიციატივით განახორციელოს მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა.

11. მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობებისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები);

12. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღისა გაეგზავნოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

13. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

14. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება უზრუნველყოს სასამართლომ ამავე კოდექსის 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოსამართლე დალი აბჟანდაძე

ასლი დედანთან სწორია
შესულია ქანონიერ ძალაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
ხელმოწერა: _____
05 11 2026წ.